წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ (2024 წელი)

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9,600.00	9,600.00	9433.2	98.26%	4947.4

- **eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა** - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2024 წლისათვის; ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემისთვის დაკონფიგურირდა 2025 წლის სამუშაო გარემო; სისტემას დაემატა ახალი ანგარიშგების დოკუმენტები; სისტემას დაემატა ახალი ორგანიზაციული კოდის ტიპები; სისტემაში განხორციელდა 31 შესწორება.
- **eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა** - დაემატა შემოსავლების სამსახურიდან სახაზინო კოდებზე გადასახადის (დღგ-ს) დაბრუნების დავალებების ავტომატურად მიღების, შემოსავლების სამსახურს გადასახადების ოდენობის და სარეზერვო ქვეანგარიშის ნაშთის ავტომატური გადაცემა, CPV კოდების ვერსიების, პაკეტების ბუღალტერიის ასინქრონულად დამუშავების და ხაზინის ელექტრონული

სისტემის მომხმარებლების პაროლების სირთულის კონტროლის და პერიოდულად ცვლილების ფუნქციონალები; დაიხვეწა მწვანე დერეფნის, სააღსრულებლო ფურცლების, SWIFT-ის ჩარიცხვების, მიზნობრივი გრანტების კონვერტაციის, სსიპ/ა(ა)იპ/სახელმწიფო საწარმოების მოდულების, პრემია-დანამატის გაცემის, უწყისების, კონფიდენციალური მოთხოვნების, მივლინების და ქეშის ანგარიშების ფუნქციონალები; მხარჯავების პორტალის ვალდებულების, კონვერტაციის მოთხოვნის ფორმებს და ანგარიშგებებს „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები“, „ვალდებულების შესრულება ეკონომიკური კოდების მიხედვით“, „ანგარიშის დეტალური ბრუნვა“, „ანგარიშეს ბრუნვა პერიოდის მიხედვით“, „ანგარიშების ბალანსი“, „ანგარიშის ჯამური ბრუნვა“, „უწყისის რეპორტი დეტალური“, „ვალდებულებების შესრულების შესახებ (პერიოდების მიხედვით)“ და „თანამშრომელთა დაშვებების რეპორტი“ დაიხვეწა ლოგიკა და დაემატა ველები; დაემატა საგადახდო დავალების ინგლისურევოვანი საბეჭდი ფორმა და ანგარიშგებები „უწყისის რეპორტი დეტალური (2)“, „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები (საფუძვლის თანხის ოდენობით)“, „დარიცხული თანხების, დარიცხული და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის რეესტრი”; ბექ ოფისს დაემატა ანგარიშგებები: „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები (CPV კოდებით)“; „სსიპ-ების ბალანსის რეპორტი“, „გადარიცხული პაკეტები (დეტალური)“, დეპოზიტორების “ანგარიშგება N8”, დაიხვეწა ვალდებულების, ღია პაკეტების SWIFT-ის ტრანზაქციების და დეპოზიტორების მოდულის ფორმები, შემოსავლების მოდულის იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციები, რეპორტები „ანგარიშის ბრუნვა“, “ინფორმაცია მიზნობრივი გრანტის შემოსავლებისა და ხარჯვის შესახებ”; ბუღალტერიის მოდულში სახელფასო და ინვოისის ოპერაციებში დაემატა ბიუჯეტის ტიპი, ინვოისებში და დამოუკიდებელ მოდულში დაემატა ვალიდაციები; შეიცვალა შემოსავლების სამსახურთან ინფორმაციის მიმოცვლის სერვისები (RevenueDayClosureService, RevenueOperationalService).

- **eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა** - ჩატარდა საშინაო და საგარეო ვალების ანგარიშგების დოკუმენტების სრულყოფის სამუშაოები, ასევე ცვლილება შევიდა და რეალურ გარემოში ჩაეშვა სფეროების დავალება. შესრულდა და ტესტირების რეჟიმშია გამოსყიდვების და გაცვლების დავალება; სისტემაში განხორციელდა 217 შესწორება.
- **eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა** - პროფესიული განვითარების მოდულში განხორციელდა წლიური გეგმის ფუნქციონალის ცვლილება, კერძოდ ფორმაზე დაემატა ცალკეული თანამშრომლ(ებ)ის დამატების ფუნქციონალი. ასევე, წლიური სასწავლო გეგმების ავტომატური გენერაციის ფუნქციონალში განახლდა თანამშრომლების კომპონენტის ნაწილი. სისტემის დასწრების ტაბელში განხორციელდა ცვლილებები მოთხოვნების შესაბამისად.
- სისტემაში დაემატა ახალი მოდული: პროფესიული განვითარების პროგრამების შედეგიანობის შეფასება.
- ცვლილება შევიდა ცალკეული სტატიკური რეპორტების ლოგიკაში სისტემაში დაემატა ახალი რეპორტები სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოთხოვნით.
- დანიშვნის ფორმაზე დაემატა ფუნქციონალი „გენდერზე პასუხისმგებელი პირის“ დასაიდენტიფიცირებლად.

- სისტემაში თანამდებობის მოდულში კერძოდ პროფესიული საჯარო მოხელის ტიპის განსაზღვრის დროს დაემატა ახალი ლოგიკა და ვალიდაციები.
- სისტემაში თანამშრომლის დანიშვნის ნაწილში დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომელიც მოქმედია იმ შემთხვევაში თუ პიროვნება eHRMS სისტემაში გათავისუფლებულია თანამდებობიდან "დისციპლინარული გადაცდომის საფუძველზე".
- დამატებით, მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევევის იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განისაზღვრა 2024 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.

- შესრულდა 2021 - 2022 წლის ლოგების ჟურნალების მონაცემების გასუფთავება და 2022 წლის ფაილების არქივაციის / NAS (QNAP) საცავში გადატანა.
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნით, შესრულდა დოკუმენტების კვალიფიციური შტამპით დადასტურების ავტომატიზაციის ამოცანის შესწავლა და ტექნიკური დავალების დოკუმენტის შემუშავება, მიმდინარეობს ამოცანის რეალიზაცია, ამოცანის რეალიზაცია, მიმდინარეობს ფუნქციონალის ტესტირება.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მოთხოვნით, მიმდინარეობს eDocument სისტემაში საკონსულტაციო წერილების მომზადების ამოცანის შესწავლა.
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, დასრულებულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაფორმება/გაცემის პროცესის ავტომატიზაციის ამოცანის შესწავლა და რეალიზაცია.
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ციფრული ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტების ვერიფიკაციის მიზნით გამართულია საჯარო სივრცის პორტალი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, რეალიზებულია და დანერგილია eDocument სისტემის Active Directory-სთან ინტეგრაციის ამოცანა.
- საქართველოს საარჩევნო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, რეალიზებულია საქართველოს საარჩევნო კომისიის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების აუდიტის შედეგების ანალიზი eDocument სისტემის ჭრილში.
- უზრუნველყოფილია 2023 წლამდე დამუშავებული დოკუმენტების ფაილების არქივაცია და მოძველებული მონაცემების განადგურება
- მიმდინარეობს eDocument სისტემების განახლების პროცესი.
- **eAuction ელექტრონული აუქციონი** - ელექტრონული აუქციონის სისტემაში განხორციელდა 38 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 18 კომპონენტი. სისტემაში დაგენერირდა ერთჯერადი ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა.
- რეალურ გარემოში მოხდა ოპტიმიზაციის სამუშაოების ჩატარება, TBC ბანკის ელ. კომერციის სისტემაზე დიდი რაოდენობის command = C რექვესთების გამოძახებებზე.
- რეალურ გარემოში განთავსდა გარემოში მოხდა JQuery პაკეტის განახლება 1.7.2 ვერსიისდან

- 3.7.1 ვერსიამდე, ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრირების ფუნქციონალის ტესტირება.
- უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სისტემას რეალურ გარემოში დაემატა ფუნქციონალი CAPTCHA, რომელიც განასხვავებს ადამიან მომხმარებლებისა და ავტომატურ/კომპიუტერულ პროგრამებს ერთმანეთისგან. რათა არ მოხდეს ელექრონული ფოსტის მისამართზე, არასანქცირებული მეილების გაგზავნა.
- რეალურ გარემოში განთავსდა Liberty ბანკის ელექტრონული სერვისი, ახალი პროტოკოლით შესაძლებელია მომხმარებელს ბარათის ტიპის მიხედვით დაუანგარიშდეს და გადახდის მომენტში მან თავად დაინახოს სრულად გადასახდელი თანხა. რის გამოც ჩატარდა ელექტრონული სისტემის სრული ტესტირება ადმინისტრირებისა და ფრონტის ნაწილებში.
- ვებგვერდზე განთავსდა მომხმარებლის სახელმძღვანელოების ინგლისური ვერსია, რომლებიც მოიცავს: 1. რეგისტრაციის პროცესს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის; 2. ქონების შეძენის პროცესს; 3. ქონების გაყიდვის პროცესს.
- ვებგვერდს დაემატა ახალი კატეგორია „ნარჩენები“, რაც იძლევა ისეთი ქვეკატეგორიების ქონების განთავსების შესაძლებლობას როგორიცაა: ნარჩენი ზეთები, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილებების ნარჩენები, ასევე, საბურავების ნარჩენები;
- **ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა** - განხორციელდა Trellix IVX სისტემის ინსტალაცია, ინტეგრაცია.
- განხორციელდა უსადენო ქსელური დაშვების უსაფრთხოების სისტემის dot1x დანერგვა.
- განხორციელდა მეილსერვერის უსაფრთხოების სისტემის ინსტალაცია-ინტერგაცია.
- განხორციელდა ქსელური დაშვების უსაფრთხოების სისტემის ISE განახლება/მიგრაცია.
- განხორციელდა ePassport-ის მონაცემთა ბაზიდან მონაცემების არქივის ბაზებში გადატანა.
- განხორციელდა LTM და ASM სისტემებზე არსებული აპლიკაციების ინტეგრაცია.
- განხორციელდა ვებ აპლიკაციის ფაერვოლზე (WAF) ზე ვებ-გვერდების მიგრაცია.
- განხორციელდა DWDM ოპტიკური სვიჩის ინსტალაცია, CSM სისტემის ინსტალაცია, (EX, IVX) Anty-Spam-ის მოდულთან ინტეგრაცია, დოკუმენტბრუნვის სისტემების მონაცემების არქივაცია.
- **ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:** მომართვათა საერთო რაოდენობა - 58535
- გაწეულია 55275 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument -19081, eTreasury - 34764 სხვა სისტემები - 1626.
- ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 3260 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.
- eTreasury სისტემის სასწავლო კურსი ჩაუტარდა ან სწავლებას გაეწია მხარდაჭერა 1159 მომხმარებელს.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) რვა პროექტი.
- შემუშავდა, განთავსდა და მხარდაჭერილია 18 სხვადასხვა ვებ-გვერდი, პორტალი და/ან საინფორმაციო პლატფორმა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება;
- მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი:

1. **ელექტრონულ სისტემებში (მათ შორის PFMS; eDocument; EIMS; eAuction;) იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორების მაჩვენებელი;**

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საინფორმაციო სისტემის განვითარება ხორციელდება Agile მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც გულისხმობს ახალი ამოცანების იმპლემენტაციას მოთხოვნის შესაბამისად (იტერაციებად). ახალი იტერაციის საწარმოო გარემოში გაშვების შემდეგ დაფიქსირებული ხარვეზები იდენტიფიცირებულია, აღრიცხულია ინციდენტების მართვის სისტემაში TFS და გასწორებულია 100%-ით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - იდენტიფიცირებული ხარვეზების 100 % გასწორება;

მიღწეული საბოლოო შედეგები
1. eBudget - დაფიქსირებული 31 ხარვეზიდან გასწორებულია 31 ხარვეზი (100%);
2. eTreasury - დაფიქსირებული 871 ხარვეზიდან გასწორებულია 864 ხარვეზი (99.2%);
3. eDMS - დაფიქსირებული 217 ხარვეზიდან გასწორებულია 217 ხარვეზი (100%);
4. eHRMS - დაფიქსირებული 33 ხარვეზიდან გასწორებულია 33 ხარვეზი (100%);
5. eDocument - დაფიქსირებული 253 ხარვეზიდან გასწორებულია 253 ხარვეზი (100%);
6. EIMS - დაფიქსირებული 252 ხარვეზიდან გასწორებულია 242 ხარვეზი (96.03 %);

7. eAuction - დაფიქსირებული 56 ხარვეზიდან გასწორებულია 56 ხარვეზი (100%);

2. საინფორმაციო სისტემების მხარდაჭერა, მოდერნიზება და განვითარების მაჩვენებელი;

საბაზისო მაჩვენებელი - ვირტუალური ზონის პირის რეგისტრაციის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდები ფუნქციონირებს მოძველებულ CMS-ში;
ამ მომენტისთვის ანგარიშგების მართვის სისტემაში წარდგენის მაჩვენებელი სდპ, I, II და III კატეგორიის საწარმოებისთვის 94%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 80%-ია.
სისტემების ხარვეზების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება მისამართზე: https://app.asana.com/0/1201457950374901/board;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის შექმნა; ვირტუალური ზონის პირის რეგისტრაციის ახალი ვებგვერდის შექმნა; ანგარიშგების მართვის სისტემაში წარდგენის მაჩვენებელი სდპ, I, II და III კატეგორიის საწარმოებისთვის 94%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 82%.
იდენტიფიცირებული ხარვეზების 100 % გასწორება;

მიღწეული საბოლოო შედეგები
შეიქმნა ვირტუალური ზონის პირის რეგისტრაციის ვებგვერდი, ვებგვერდი განთავსებულია შემდეგ მისამართზე: https://newzone.mof.ge/
შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი, და დაფაბლიშებულია სატესტო დომენზე http://mof.dev.fas.ge, ვებგვერდი გასატესტად და კონტენტის გადასამოწმებლად გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ტესტირების დასრულების შემდეგ ძველი ვებგვერდი ჩანაცვლდება ახლით.
ანგარიშგების მართვის სისტემაში წარდგენის მაჩვენებელი სდპ, I, II და III კატეგორიის საწარმოებისთვის ამ მომენტისთვის შეადგენს 87% -ს, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 69% (2023 წლის საანგარიშგებო წლის ანგარიშგებების წარდგენა გრძელდება მიმდინარე წლის გაზაფხულის ჩათვლით, შესაბამისად პროცენტები დაკორექტირდება).
პროექტების მართვის სისტემაში (asana) დაფიქსირებული (იდენტიფიცირებული) ხარვეზებიდან (სულ 97), გასწორებულია 100%;

https://app.asana.com/0/1201457950374901/board

https://app.asana.com/0/1204548819552186/1204550715487302

https://app.asana.com/0/1206521202984895/1206521097075774

3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უწყვეტობის უზრუნველყოფის, მთლიანობის, კონფიდენციალურობის და IT ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი;

საბაზისო მაჩვენებელი - საინფორმაციო-საკომუნიკაციო სერვისების უწყვეტად ფუნქციონირების პროცენტული მაჩვენებელი 1 წლის განმავლობაში (Service UP Time) - 99.99% (დაგეგმილის გამორთვების გამოკლებით);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საინფორმაციო-საკომუნიკაციო სერვისების უწყვეტად ფუნქციონირების პროცენტული მაჩვენებელი 1 წლის განმავლობაში (Service UP Time) - 99.7% (დაგეგმილის გამორთვების გამოკლებით);

მიღწეული საბოლოო შედეგები - საინფორმაციო-საკომუნიკაციო სერვისების უწყვეტად ფუნქციონირების პროცენტული მაჩვენებელი (Service UP Time) - 99.99% (დაგეგმილის გამორთვების გამოკლებით);

4. **საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობების განახლება გაფართოების მაჩვენებლები;**

საბაზისო მაჩვენებელი - ინტერნეტიდან (IPS) შემომავალი და გამავალი ინსპექტირებული ტრაფიკის მოცულობა - 0.4; გამოთვლითი დისკური მოცულობა 360TB HDD;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ინტერნეტიდან (IPS) შემომავალი და გამავალი ინსპექტირებული ტრაფიკის მოცულობა - 1 Gbps-დან 2 Gbps-მდე. გამოთვლითი დისკური მოცულობა 400TB HDD;

მიღწეული საბოლოო შედეგები - ინტერნეტიდან (IPS) შემომავალი და გამავალი ინსპექტირებული ტრაფიკის მოცულობამ შეადგინა 0.7 Gbps; გამოთვლითი დისკური მოცულობა გაიზარდა 600TB HDD-მდე;

მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
- 2304

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3)	საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%
1	2	3	4	5	6	7	8	9
	მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნებები							
2304	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9,600.00	9,600.00	9,433.2	0%	98.26%		